# ბორჯომი

31 მარტი
ხუთშაბათი
2022 წელი
№13 (9223)
ფასი 40 თეთრი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან


## ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

**25 მარტს გაიმართა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე დავით ზაალიშვილი უძღვებოდა. დეპუტატებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს უკრაინაში დაღუპულ ქართველ ვაჟკაცებს.**

**დეპუტატებმა მოისმინეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის ოთარ არბოლიშვილის ანგარიში 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.**

**განიხილეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2021 წლის შესრულების ანგარიში.**

**მოისმინეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ 2021 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების ანგარიში.**

**დეპუტეტებმა ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის №36 დადგენილებაში. ასევე ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიული საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 2 მარტის №4 დადგენილებაში, „ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის 8 და ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის №10 დადგენილებებში.**

**მოისმინეს ა(ა)იპ - სამცხე-ჯავახეთის სარაგბო კლუბი „ტაო“-ს დირექტორის ი. გვენეტაძის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.**

**განიხილეს ა(ა)იპ „ბორჯომის ცენტრალური (ისტორიული) პარკი“-ს დირექტორის ლ. გელაშვილის ინფორმაცია 2022 წლის საკურორტო სეზონის მომზადებასთან დაკავშირებით.**

**მოისმინეს ა(ა)იპ ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობის და ა(ა)იპ „ბორჯომის საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმძღვანელთა ანგარიშები.**

**ერთსულოვნად მიიღეს დადგენილების პროექტი ბორჯომის მუნიციპალიტეტში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ. (აღნიშნული დადგენილება ქვეყნდება).**

**დაამტკიცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს II კვარტალის სამუშაო გეგმა.**

**მოისმინეს სოფლის განვითარების სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სამსახურის კვლევის „პოტენციური მიზიდულობის ცენტრები სამცხე-ჯავახეთში“ შედეგების ანალიზი.**

## ბაკურიანში უწყებათაშორისი საკოორდინაციო შეხვედრა გაიმართა



**სსიპ** ბაკურიანის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელმა **ეკატერინე ორჯონიკიძემ,** ბაკურიანში უწყებათაშორისი საკოორდინაციო შეხვედრა გამართა.

შეხვედრას სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე **შალვა ბერძენიშვილი,** ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი** და ყველა იმ სახელმწიფო უწყებისა და კერძო სექტორის წარმომადგენელი ესწრებოდა, რომელთა პასუხისმგებლობაა ბაკურიანის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა.

2022-2023 წლებში ბაკურიანში დაგეგმილია - დიდველის სათხილამურო ტრასასთან მისასვლელი და ე.წ წრიულის გზის რეაბილიტაცია, საფეხმავლო ბილიკების მოწყობა და წყალ-კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია. ასევე, მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, ბაკურიანის პარკში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

- შეხვედრის მიზანი იყო სხვადასხვა უწყების ხელმძღვანელებთან, ბაკურიანის განვითარების სამოქმედო გენერალური გეგმის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და სამომავლოდ ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა. ასევე, შეხვედრაზე დაისვა საკითხი, უწყებათშორის სამუშაო ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს კოორდინირებულ მოქმედებას და სამუშაოების ეფექტურად განხორციელებას, - განაცხადა **ეკატერინე ორჯონიკიძემ**.

## შეხვედრა მიეძღვნა ტუბერკულოზის დღეს



**24 მარტს,** ტუბერკულოზის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, წითელი ჯვრის ბორჯომის ფილიალის ინიციატივით, საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა შედგა. წითელი ჯვრის მოხალისემ, პროფესიით ფიზიოთერაპევტმა, **სალომე თაბუნიძემ** ბორჯომში ადგილობრივი ფილიალის ოფისში, ხოლო ბიოლოგიის პედაგოგმა, **მარი ქინქლაძემ** დვირის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან საინტერესო ტრენინგი ჩაატარეს ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. ტრენინგზე მიმოიხილეს ტუბერკულოზის, როგორც ვერაგი და საკმაოდ გავრცელებული დაავადების უარყოფითი მხარეები, რომელიც სამწუხაროდ, არა მარტო ერთი რომელიმე კონკრეტული ქვეყნისთვის, არამედ მთლიანად მსოფლიოსათვის გლობალურ პრობლემას წარმოადგენს.

ტუბერკულოზი სოციალურ დაავადებას წარმოადგენს და ის, გარდა ფილტვებისა, შესაძლოა განვითარდეს ნებისმიერ სხვა ორგანოში (თავის ტვინის გარსები, ძვლები, სახსრები, თირკმელები, შარდის ბუშტი და ა.შ. - ე.ი. ფილტვგარეშე ტუბერკულოზი). მიუხედავად იმისა, რომ ყოველწლიურად ტუბერკულოზით მსოფლიოში 8-9მ მილიონი ადამიანი ავადდება, მისი განკურნება შესაძლებელია, თუკი დროული პრევენცია და მკურნალობა მოხდება. ამისათვის კი მნიშვნელოვანია საზოგადოების ჩართულობა და ცნობიერების ამაღლება დაავადების შესახებ.

შეხვედრის დასასრულს, მოხალისეებმა მოსახლეობას საინფორმაციო ხასიათის ფლაერები დაურიგეს.

**ნატო მელიქიძე**

## ღვაწლმოსილ ადამიანთა ღირსეული დაფასება





**ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატებმა ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილება ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების - სკვერების სახელდების შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-7 მუხლის და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 24/02/2022 წლის №01/591 წერილის შესაბამისად.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქ. ბორჯომში რუსთაველის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიას ეწოდოს ***„მიხეილ თვაურის სახელობის სკვერი“*** თანდართული რუკის თანახმად (დანართი 1);

- ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქ. ბორჯომში გრ. ხანძთელის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიას ეწოდოს ***„ზურაბ დოიჯაშვილის სახელობის სკვერი“*** თანდართული რუკის თანახმად (დანართი 2);
- ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაბა წაღვერში დავით აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიას ეწოდოს ***„სოსო მღებრიშვილის სახელობის“ სკვერი“*** თანდართული რუკის თანახმად (დანართი 3);
- განკარგულება რეაგირებისათვის გადაეგზავნოს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიას;
- განკარგულება, მიღებიდან 10 დღის ვადაში გადაეგზავნოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს;
- განკარგულება მისი მიღებიდან 10 დღის ვადაში გამოქვეყნდეს სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე;
- განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
- განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქუჩა №62.).

## უქმდება ღია სივრცეში პირბადის ტარების ვალდებულება



**28 მარტიდან** უქმდება ღია სივრცეში პირბადის ტარების ვალდებულება და სხვა მოქმედი რეგულაციები, - აღნიშნული გადაწყვეტილება უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ სხდომაზე მიიღო, რომელიც პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილის** ხელმძღვანელობით, მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

საქართველოში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე, 28 მარტიდან, პირბადის ტარების ვალდებულება შენარჩუნდება მხოლოდ დახურულ სივრცეებსა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში.

უქმდება სტუმრების რაოდენობაზე მოქმედი შეზღუდვა, როგორც საზოგადოებრივი კვების ობიექტებზე, ასევე სპორტულ, სახელოვნებო თუ სხვა სახის ღონისძიებებზე, მათ შორის სოციალურ ღონისძიებებზე.

დისტანციურ სამუშაო რეჟიმში მყოფი საჯარო მოხელეები სამუშაო ადგილებს დაუბრუნდებიან.

ამასთანავე, უქმდება თვითიზოლაციის ვალდებულება საქართველოს იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც ქვეყანაში PCR-ტესტის გარეშე ბრუნდებიან.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, აპრილში გაგრძელდება ვაქცინაციის წახალისების პროგრამა, რომლის თანახმად, 50 წელს ზემოთ ასაკის მოქალაქეები ვაქცინის პირველი დოზით აცრის შემთხვევაში 200 ლარს მიიღებენ, ხოლო ე.წ. ბუსტერ დოზით აცრის შემთხვევაში, ამავე ასაკობრივი ჯგუფის პირებს 100 ლარი ჩაერიცხებათ.

საბჭოს დღევანდელ სხდომაზე აღინიშნა, რომ საქართველო იქნება რეგიონში პირველი ქვეყანა, რომელიც „ფაიზერის“ მიერ შექმნილ კოვიდის სამკურნალო პრეპარატს მიიღებს. „პაქსლოვიდის“ პირველი დოზები ქვეყანაში შემოვიდა და ქრონიკული დაავადებების მქონე პირებსა და რისკჯგუფების წარმომადგენლებს, ინფიცირების შემთხვევაში, ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულების თავიდან ასაცილებლად, მკურნალობის კურსისთვის საჭირო მედიკამენტის დოზა უფასოდ გადაეცემათ.

პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში აქტიურად მონაწილეობს საქართველოს პარლამენტი და პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

## იწყება მოაჯირების მოწყობა



**ბორჯომში,** აღმაშენებლის ქუჩაზე დეკორატიული მოაჯირების მოწყობის სამუშაოებზე ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა.

სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან 232 841 ლარით დაფინანსდება.

ბორჯომის მერიის მიზანია ქალაქის იერსახის მოწესრიგება და ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა.

## ისტორიის ლაბირინთებში

# კოლონისტების ჩამოსახლება ბორჯომში

**სახელმწიფო** მამულების ექსპედიციის მთავარი სამმართველოს უფროსი ა. ფადეევი კრივეცკის ატყობინებდა, რომ მთავარმმართებელმა გამოუგზავნა 4 ათასი მანეთი გადმოსახლებულთა დასახმარებლად, ამასთან აფრთხილებდა, ეცადონ, კოლონისტები არ გაფანტულიყვნენ შორეულ ადგილებში სამუშაოს საძებნელად. ჩამოსახლებულებს ნება დართეს, წასულიყვნენ სამუშაოდ მხოლოდ ბორჯომის რაიონში კერძო მესაკუთრეებთან, სადაც შესაძლებელი იქნება გამოიმუშავონ 20-25 კაპიკი დღიურად. თბილისში წასვლის ნება დართეს მხოლოდ დედაკაცებს. მისცეს იმდენი თესლი რამდენიც საჭირო იყო საშემოდგომო თესვისათვის.

გადმოსახლებული მალოროსიელების (უკრაინელების) ნაწილმა საცხოვრებლად გამოიყენა ქართველების დატოვებული სახლები, ზოგმა დროებით მიწური სახლები გაიკეთა. გადმოსახლებულები უსურსათობის გამო დიდ გაჭირვებაში ჩაცვენილან. დაავადდა 150 კაცი, ავადმყოფობა ძირითადად უჭმელობამ გამოიწვია.

ციხისჯვრის მამასახლისს ნება დართეს, ყველაზე ღარიბი გადმოსახლებულებისათვის თითოეულისთვის საკოჭავის დუქნიდან მიეცათ 6 ჩანახა ფქვილი.

შიმშილის შესამსუბუქებლად ვოდძინსკიმ გადმოსახლებულთა დიდი ნაწილი გააგზავნა გორსა და თბილისში სამუშაოდ. ექიმის თანაშემწე ვლადიმიროვსკი ყოველგვარ დახმარებას უწევს ავადმყოფებს, თავის დასაცავად მათ მისცეს 200 თოფი, 4 ფუთი დენთი და 8 ფუთი ტყვია. ვოდძინსკი ითხოვდა სურამის მაღაზიიდან დამატებით გამოეყოთ ფქვილი. 1854 წლის 22 მარტს ვოდძინსკი ფადეევისადმი გაგზავნილ წერილში გადმოსახლებულთა შესახებ აცნობებდა, რომ პოლტავის სახელმწიფო მამულებიდან გადასახლებულ მალოროსიელები იყვნენ მაწანწალები, უქნარები, რომლებიც არ იხდიდნენ გადასახადებს, დღიური ლუკმისთვის დაეხეტებოდნენ ადგილიდან ადგილზე. პალატამ დააიმედა ისინი, რომ კავკასიაში ოქროს კოშკებს აუგებდნენ, ასე მოტყუებით მოიცილეს თავიდან.

ბორჯომში ჩამოსვლისთანავე იმედგაცრუებული ხალხი მალევე მიადგა ჯერ ვოდძინსკის, შემდეგ მეფისნაცვალს, მაგრამ მან გაჭირვებულ ხალხს



პოლტაველი კაზაკები ბორჯომში

არც მოუსმინა.

ამის შემდეგ ახალმოსახლეებმა მეორე დეპუტაცია აირჩიეს და კვლავ ითხოვდნენ უკან გაბრუნებას ან სხვა რაიონში გადასახლებას.

როგორც ზემოთ ითქვა, ხელისუფლება გადმოსახლებულთა სიღარიბეს მათივე სიზარმაცეს აბრალებდა. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ვედძინსკი ითხოვდა ნებართვას მათ დასასჯელად და მიიღო კიდეც სათანადო ნებართვა.

1854 წელს 132 ოჯახი ბორჯომიდან კავკასიის ხაზზე გადასახლდა თავიანთი ხარჯებით ალხან იურტის სტანციაში, გადმოსახლებულები სამხედრო უწყებებს მიაწერეს და მთავარ შტაბს დაევალა მათი სუნჯამდე ჩაყვანა. ხოლო იმათ ვისაც გადასახადების გადახდის საშუალება არ ჰქონდა, დარჩნენ ბორჯომის მამულში ან გორის მაზრაში.

უმიწობით გაწამებული და მშობლიური მიწიდან აყრილი 26 ქართულმა ოჯახმა 1865 წელს თხოვნით მიმართა მეფისნაცვალს მიხეილ რომანოვს ოჯახები დაესახლებინა საკუთარ მიწებზე. მთხოვნელთა შორის იყვნენ პავლე და გიო ხუციშვილები, თედო და გიო ტყველაშვილები, პავლე კვირიკაშვილი, პავლე და სოლომონ გოგიჩაიშვილები, სვიმონ და ბარბო დათუნიშვილები, თედო და სვიმონა მინდიაშვილები, პავლე გარაყანიშვილი, ოდანა გიროშვილი, გაბრო მეხრიშვილი, ტეტიკა ხელისუფალიშვილი, პავლე და მიშა ჯანიაშვილები, გიგო სამხარაძე, ივანე დათუნიშვილი, ზურაბ და დათა თედიაშვილები, გიგო ამანათაშვილი, შაბურა და გიო ედილაშვილები, ანდრო შატბერაშვილი და სოსო ზაქაშვილი. თხოვნაში აღნიშნული იყო, რომ მათი წინაპრები უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ, თავიანთ სამკვიდრო მამაპაპისეულ მამულებში. ბორჯომის ხეობის სოფლებში ჭობისხევში, ნუაში, ყვიბისში, სადგერში, წაღვერში, მტრის შემოსევის და მხარის აოხრების შემდეგ ისინი სოფელ ბრეთში გადასახლდნენ, სადაც 160 წელზე მეტ ხანს ცხოვრობდნენ. რუსების მიერ ახალციხის საფაშოს აღების შემდეგ, მთავრობის ნებართვით ისინი კვლავ დაუბრუნდნენ მამაპაპისეულ ადგილებს და 1829 წელს დასახლდნენ აღნიშნულ სოფლებში. განაახლეს ეკლესიები, ააშენეს წისქვილები, გაწმინდეს ტყეები, სახნავი მიწები და ცხოვრობდნენ წყნარად. მაგრამ მას შემდეგ, რაც ავალიშვილების მამული ხაზინას გადაეცა ე.ი. 1852 წელს, ისინი კვლავ გადაასახლეს სოფელ ბრეთში ავალიშვილების მიწაზე, სადაც უმიწობით პირდაპირი გაგებით შიმშილს განიცდიან.

აღნიშნული ადგილები რომ ნამდვილად მამაპაპისეული სამკვიდროა, ამას დაამტკიცებენ სურამის და აწყურის მცხოვრებნი. ახლა მათ სახლებში სრულიად უცხო ხალხი ცხოვრობს და სარგებლობს მათი მამულებით. მაშინ, როცა მათ თავიანთი მამაპაპეული სახლკარი და მამულები აქვთ.

გლეხები თხოვდნენ დახმარებას მეფისნაცვალს მიეხედა მათი უმწეო მდგომარეობისათვის და დაეტოვებინა ისინი საცხოვრებლად თავიანთ მამაპაპისეულ მამულში.

მეფის ნაცვალმა დიდხანს არ შეიწყნარა გლეხების მოთხოვნა, შემდეგ კი იძულებული გახდა დაებრუნებინა თავიანთ მამულში, რადგან იაფი მუშახელით შეივსებოდა თავისი ხეობა, რაც დიდ მოგებას მისცემდა.

**რუსეთის იმპერიის მიერ განხორციელებული ზემოთ მოთხრობილი ამბავი კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ ბარბაროსობაზე, რასაც საკუთარი ხალხის მიმართ ახორციელებდა. სამწუხაროდ, რუსეთს არც დღეს შეუცვლია თავისი იმპერიული ზნე და ხასიათი.**

**რაც დღეს ერთმორწმუნე უკრაინის წინააღმდეგ ხდება, ფაშისტებსაც არ ჩაუდენიათ. ბომბავს მშვიდობიან მოსახლეობას, ანგრევს ისეთ ლამაზ ქალაქებს, როგორიცაა კიევი, ხარკოვი, ზაპოროჟე, ოდესა, სუმი და სხვა დაბა-სოფლები.**

**პუტინის მიზანია, აისრულოს დიდი ხნის ოცნება, აღადგინოს რუსების თაოსნობით დანგრეული საბჭოთა კავშირი და ვერცერთმა ქვეყანამ ვერ გაბედოს რუსეთის სამეზობლოდან ახალი გაერთიანების, ბლოკის და შეიარაღების საშუალებების განთავსება. ამასთან საუბარიც ზედმეტია უკრაინელთა, ბალტიისპირელთა, დნეპრისპირელთა, ქართველთა, ყაზახთა და ყოფილი სსრ კავშირის შემადგენლობაში მცხოვრებ ხალხთა დამოუკიდებლობაზე, თავისუფლებაზე, ისევ რუსეთმა უნდა მართოს მსოფლიო და აღასრულოს თავისი იმპერიული ზრახვები. როგორც ჩანს, რუსეთის ხელისუფლება გრძნობს ხალხთა გამოღვიძების, ახალი პოლიტიკური რეალობის და მათი ახლებური ცხოვრების სურვილს. ამიტომაცაა გამწარებული, ამიტომაც არ დაინდო 2008 წელს საქართველო და არც ახლა იხევს უკან ე.წ. „მალოროსიელებს“ იგივე უკრაინელებს, თავის სისხლსა და ხორცის წინაშე.**

ღმერთი მაღალია. უსამართლობას არავის შეარჩენს, არც პუტინს. ალბათ დადგება რუსული იმპერიის დაშლის და დაქუცმაცების დრო, დრო, რომელიც პასუხს მოსთხოვს მშვიდობიანი მოსახლეობის დარბევისა და განადგურებისათვის.

**ვალერიან ლომიძე**

**P.S. XIX საუკუნეში გადმოსახლებული მალოროსიელები, პოლტაველი დუხაბორები და მალაკნები შესანიშნავად შეეწყვნენ ქართველებს და საუკუნეზე დიდხანს ძმურად ცხოვრობდნენ ჩვენს მიწა-წყალზე, მათ კი არ გაარუსეს ქართველები, პირიქით, თვითონ ისწავლეს ქართული ენა. მათი ნაშიერნი (ჩუბკო, ნაგოგა, მარტინენკო, შევჩენკო და სხვები) დღესაც ცხოვრობენ ჩვენსგვერდით და ღირსეულად აგრძელებენ მამა-პაპათა ტრადიციებს.**

**რუსეთის მპერიას არ გაუმართლა, მიზანი ვერ შეისრულა. ვერც შეისრულებს, რადგან ხალხს თავისუფლება მოწყურდა და თავისუფლების ძალით ჩახშობა შეუძლებელია.**

**დასასრული. დასაწყისი იხ. გაზეთ „ბორჯომის“ №12**

## პასუხად ქალბატონ მონიკა ჭანტურიას

# უბრალოო ხალხი „საზარბაზნე ხორცად“ გაწირეს...



**პუტინზე** ჩემი შეხედულება უარყოფითი მარტო იმიტომაც არის, რომ რუსეთი დიდ სამამულო ომში ყოველ წელს 9 მაისის გამარჯვებას ზეიმობს, მოსკოვში პარადს აწყობს და ერთხელაც არ ახსენებენ გამარჯვების სულისჩამდგმელს და ორგანიზატორს, კაცობრიობის ისტორიაში უდიდეს მთავარსარდალს, გენერალისიმუსს **იოსებ სტალინს.** განა შეიძლება ამაზე მეტი კურიოზი სადმე ხდებოდეს?! ამიტომაც არის, რომ უიდეო და დემორალიზებულმა რუსეთის არმიამ უკრაინის ახლა მიმდინარე ბრძოლების პირველ სამ კვირაში საშინელი მარცხი იწვნია.

2008 წელს ცხინვალის ტრაგედია მარტო სააკაშვილის კი არა, პუტინის ბრალიცაა. მას ჩააგონეს, რომ ქართველებმა ოსებს გენოციდი მოუწყეს. პირიქით კი მოხდა. ასევე იყო 1920 წელს. ამის შესახებ ისტორიკოსმა შოთა ვადაჭკორიამ დაწერა „საქართველოს რესპუბლიკაში“. ამავე გაზეთში ამ წერილს მეც გამოვეხმაურე.

ამასთანავე ქრისტიანულმა სამყარომ ერთი დიდი გადაწყვეტილება მაინც უნდა დაუფასოს რუსეთს: **მან 99 წლით აკრძალა ქვეყანაში ლგბტ მოძრაობა!** ჩემი აზრით, კაცობრიობას ჯერ კიდევ სრულიად გააზრებული არა აქვს, თუ რა დიდ საშიშროებას წარმოადგენს შავი ჭირივით მოდებული ეს გეი-ჰომო აღლუმთა მოძრაობა! ევროპის 15-მდე ქვეყანას მართავენ ჰომოსექსუალები და გეები!

მაშასადამე, ამერიკა და ნატო ირი გზით მოიწევენ აღმოსავლეთისაკენ: სამხედრო ინფრასტრუქტურის განლაგების და ადამიანების მორალურად გახრწნის გზით. მათ უნდათ რუსეთის დაშლა. კი, მაგრამ რატომ? მათ უნდათ რუსეთის ბუნებრივი რესურსების ხელში ჩაგდება, რომელიც მსოფლიო რესურსების 40%-ს შეადგენს. **ამის წინააღმდეგ არ გამოვიდეს რუსეთი?**

და აი, წითელი ხაზები ახლა უკრაინაში გადაიკვეთა. ზელენსკის გმირად სახავენ, მაგრამ არ უფიქრდებიან იმას, რომ მან საზარბაზნე ხორცად გაწირა თავისი ხალხი. დასავლეთიც მას გამალებით აწვდის იარაღს, რა ენაღვლებათ, ორმა მოძმე ხალხმა, სლავებმა ხოცონ ერთმანეთიო, დასუსტებულებს უფრო ადვილად მოვუგრეხთ კისერსო. მათ თვალი უჭირავთ უკრაინის ბეღელზე, 42 მილიონი ჰექტარიდან 26 მილიონი ჰექტარი შავმიწანიადაგიანია და ხორბლის (პურის) პრობლემაც ხომ თანდათან მწვავდება მთელ მსოფლიოში.

**ბოროტი მამონა ისევ მძლავრობს და არ ისვენებს,** იხოცება ბავშვები, ქალები, მოედინება სისხლის და ცრემლის ნიაღვარი. დასავლეთი ამ ტრაგედიის მოგვარებას დიპლომატიის გზით არა და არ ცდილობს, აწვდის და აწვდის იარაღს... ზელენსკიც „უცილობლობს, ვითა ჯორი“ და ორივე პრეზიდენტი სალაპარაკო მაგიდასთან არ ჯდება.

აი, ქალბატონო მონიკა, ჩემი პოზიცია მსოფლიოში მიმდინარე მთავარ მოვლენებზე. თქვენ ამბობთ, რომ ზოგჯერ ჩემს პოზიციასთან „კატეგორიულად განსხვავებული პოზიცია გაქვთ“. თქვენი ნებაა, მე ჩემი სათქმელი გითხარით...

**თქვენ მეკითხებით ღირებულებებზე, ფასეულობებზე და ტრადიციებზე, რომელსაც ახალი თაობა ვერ ან არ აფასებს.** რაც ეს წყეული ლგბტ მოძრაობა გვიტევს და რაღაც **იუვენალური აღზრდის დანერგვას ცდილობენ,** მეშინია ამ საკითხზე საუბრის. მეცოდება ახალი თაობა, პატარა ბავშვები. თქვენ წარმოიდგინეთ, პატარებზე, 2-3 წლიდან, პორნო აღზრდაზეც კი ლაპარაკობენ დასავლეთში. თურმე „ნატურალურ“, სექსუალურ სცენებსაც უჩვენებენ(!). ამ თემაზე რესპუბლიკურ გაზეთებშიც წერენ. **მოზარდებში ვერ აღმოვფხვერით გამოთქმა: „ჩემი დედა...“** ბავშვებს ეუბნებიან, რომ ავტობუსში უფროსს ან მოხუცს ადგილი არ უნდა დაუთმონ. ბევრს ლაპარაკობენ ბავშვთა, მოსწავლეთა უფლებებზე (ძაღლების უფლებებზეც კი) **და არა მასწავლებლების, მშობლების უფლებებზე.** მახსოვს, სადღაც ეწერა, საქართველოში დედას მკერდიდან ააგლიჯეს 5 თვის შვილი და სხვა 4 შვილთან ერთად ვიღაცას მიაბარეს. **ეს სიგიჟეა!** სიმკაცრე აღზრდაში 7-8 წლამდე აუცილებელია; ამ წუთისოფელში ბევრ რამეში იძულებულები ვართ, რომ იძულებით გავაკეთოთ, ამას კი ენერგია, სიმკაცრე, რეჟიმი, წესრიგი სჭირდება. უფრო მძლავრად ვებრძოლოთ ნარკომანიას, ლუდომანიას. მადლობა ღმერთს, ზრდილობიანი, კარგი ბავშვებიც ბევრი გვყავს!

**ჩემი აზრი რელიგიაზე.** მთიელები წარმართი ქრისტიანები ვართ. პირჯვარსაც ვიწერთ და, მაგალითად, ლაშარის სალოცავში საკლავებსაც ვკლავთ. ბავშვობაში ჩემთვის ყველაზე დიდი სიხარული იყო ხატობაზე, მარიამობაზე წასვლა, სოფლის მაღლა ორ კილომეტრზე უნდა ავსულიყავით. მთელი სოფელი ემზადებოდა. ქალაქებისგან განსხვავებით სოფლებში არ იყო აკრძალული ხატობებში სიარული. სამწუხაროდ, ეკლესიური არა და ვერა ვარ, მაგრამ მწამს ღმერთი. დიდი კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებდა: ისეთი ჰარმონიაა ბუნებაში, არ შეიძლება ამას იდუმალი შემოქმედი არ ჰყავდესო! ღვთის ნებით რაღაც კავშირი არსებობს მოვლენებსა და ადამიანებს შორის. მარიამობაზე ხშირად დავდივარ ტიმოთესუბნის ტაძარში და ვანთებ სანთლებს. 2016 წელს, მარიამობას, ტაძარში სანთლებთან ერთად, თითქოს იდუმალმა ხმამ მიკარნახა - ერთი კელაპტარიც დაანთე... სწორედ ამ დღეს ჩემს ბიჭებს მძიმე ავარია მოუვიდათ ახალციხესთან ახლოს. მადლობა უფალს, ღვთისმშობელს, რომ ორივე შვილი გადამირჩა!

და ბოლოს, ჩვენი ქვეყნის მომავალს, ვხედავ, „3+3“ ფორმატში, პირველ რიგში ჩვენ ირგვლივ არსებულ სახელმწიფოებთან (სხვებთანაც) კეთილმეზობლობაში, განსაკუთრებით ერთმორწმუნე რუსეთთან თანასწორუფლებიან თანაცხოვრებაში.

მიუხედავად იმისა, რომ დემოგრაფიული კატასტროფა გვაქვს, ვფიქრობ, რომ მაინც არ გადავშენდებით. ადრეც ვწერდი: ახალგაზრდა მეუღლეებმა უნდა შეჰფიცონ ღმერთს და ერთმანეთს, რომ გამრავლდნენ და ბევრი შვილი იყოლიონ. ფიცის დადებაში და მის შესრულებაში უნდა მივბაძოთ ჩეჩნეთს და ისრაელს!

დღეს, სამწუხაროდ, ქვეყანაში პარტიების დიქტატურაა. სტალინის დროს პიტოკრატიული არჩევნები იყო! მხოლოდ ღირსეულებს ირჩევდნენ. მართალია, იყო შაბლონიც, მაგრამ ღირსება ფასობდა. ახლა კი პროპორციულ არჩევნებში ვერ გაიგებ, როგორ პიროვნებას, რა ღირსების ადამიანებს ირჩევენ საკანონმდებლო ორგანოში.

ამოიჩემეს, 2024 წელს პროპორციული არჩევნები იქნებაო. ეს დაღუპავს ქვეყანას. უნდა იყოს პროპორციულ-მაჟორიტარული არჩევნები!

უფალო, შენ გებარებოდეს ჩვენი საქართველო!

**უშანგი ჯანგირაშვილი**

**დასასრული. დასაწყისი იხ. გაზეთ „ბორჯომის“ №10,12.**

# ჯემალ ბიბილური – 70

# სამშობლოს სიყვარულით გულანთებული





**„ჩემთვის გაზეთი „ბორჯომი“ იგივეა, რაც პური და წყალი“, - ამბობს ჩვენი გაზეთის დიდი მეგობარი, სოფელ დვირში მცხოვრები პოეტი - სახალხო მთქმელი ჯემალ ბიბილური. მართლაც, 50 წელზე მეტია გაზეთ „ბორჯომს“ ამშვენებს მისი გვარი და სახელი, ამშვენებს მისი შინაარსიანი, ძირითადად პატრიოტული თემატიკით გამსჭვალული ლექსები. პოეტის ლექსები შეიყვარა ჩვენი გაზეთის მკითხველმა.**

**ბატონი ჯემალ ბიბილური იუბილარია, 2 აპრილს 70 წელი უსრულდება. შვიდი ათეული წელი მართლაც ღირსეულად იცხოვრა. თავისი ცხოვრების წესით, კაცურკაცობით, ამშვენებს არა მარტო თავის სოფელს, არამედ მთელ რაიონს.**

**სიცოცხლის განვლილი წლები დვირსა და ბორჯომში გაატარა. ახლაც სოფელში ცხოვრობს და „მოღვაწეობს“ ვაჟა-ფშაველასავით. არის ღირსეული მეუღლე, მამა, ბაბუა, მეგობარი, კარგი თამადა, რომ იტყვიან, „სოფლის საკითხი კაცი“. მის საიუბილეო თარიღს გრინლიანდებად შემოხვევია მისი ლამაზი ლექსები.**

**რამდენიმე კითხვით მივმართეთ იუბილარს.**

● **ასე უსაზღვროდ ვინ და რამ შეგაყვარა სამშობლო?**

– ბავშვობისას პაპა ლოგინში რომ ჩამიწვენდა, მიამბობდა ბევრს ჩვენს სახელოვან წინაპრებზე, ასევე ბებო და სხვა უფროსი ასაკის ადამიანები. სკოლაში სწავლის პერიოდში ჩვენი სახელოვანი პოეტების და მწერლების ნაწარმოებებმა უფრო შემაყვარა ჩვენი სვეგამწარებული სამშობლო.

● **როდის დაწერე პირველი ლექსი?**

– როცა მერვე კლასში ვიყავი. ეს პირველი ლექსიც, რასაკვირველია, სამშობლოს ეძღვნებოდა.

● **გაჭირვების წლებიც გახსოვს?**

– რასაკვირველია. ჩემს ბავშვობაში ქვეყანა ჯერ კიდევ ომის ჭრილობებს იშუშებდა. ჭირდა ცხოვრება. არ იყო საკმარისი არც სამრეწველო ნაწარმი, არც სურსათი. არ იყო ტელევიზია, რადიომიმღები სოფელში ერთ-ორ ოჯახს ჰქონდა. მაგრამ ბავშვების მთავარი მიზანი იყო სწავლა. ჩვენს სოფელში მაშინ 250-260-მდე ბავშვი სწავლობდა. ახლა 60-მდე სწავლობს(!). მასწავლებლები ხშირად გაკვეთილების შემდეგაც გვამეცადინებდნენ. ყოფილა შემთხვევა, ზამთარში, საღამოს 8-9 საათზე, „ჭრაქებით“ მივსულვართ სახლში.

● **მაშინ საბჭოთა კავშირი იყო...**

– მაშინ ჩვენი დიდი სამშობლო საბჭოთა კავშირი იყო; გვეამაყებოდა ამ უზარმაზარი ქვეყნის შვილობა. სტალინის შემდეგ ხალხის მოღალატეები მოვიდნენ ქვეყნის სათავეში. მე სოფლის საბჭოში ვმუშაობდი. ყველაფერი მიმართული იყო იქითკენ, რომ რაც შეიძლება უხვად შექნილიყო ბევრი სახალხო დოვლათი. სოციალისტური წყობილების ქვეყანა არ უნდა დაშლილიყო, დღევანდელი ჩინეთივით უნდა გაეტანა ლელო.

● **ახლა სოფლები ცარიელდება. მათ შორის შენი სოფელი დვირიც.**

– თუ რაიმე უშველის, ისევ ტურიზმია. ჩვენს სოფელსაც და მთლიანად საქართველოსაც. დვირში გოგირდის აბანოებზეც შეიძლება სამკურნალო პანსიონატი გაიხსნას. მთავრობამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს სოფელს, ახალგაზრდობა წაახალისოს, სოფელში მოსახნავი და დასამუშავებელი არ უნდა რჩებოდეს არც ერთი მტკაველი მიწა.

● **გაერომ ქართველობა 2050 წლისათვის მომაკვდავ ერად გამოგვაცხადა.**

– ღმერთმა დაგვიფაროს! მაგრამ მაშინ დაგვიფარავს, თუ მთავრობაც დემოგრაფიული პრობლემების გადაჭრას მეტი ძალისხმევით მოინდომებს. ამისათვის ჩვენთან მომრავლებული მილიონერების გაღებული თანხებიც უნდა „გამოიყენოს“... თუ მოვინდომებთ, გადავრჩებით! ახალგაზრდებმა ღირსებად და წესად უნდა შემოიღონ მრავალშვილიანობა.

● **სამწუხაროდ, საქართველოს ბევრი ნარკომანი ჰყავს, განსაკუთრებით ახალგაზრდები. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდისათვის. მე თუ მკითხავთ, თქვენს პატრიოტულ ლექსებზე უნდა იზრდებოდეს არა მხოლოდ თქვენი სოფლის, არამედ რაიონის ყველა სკოლის მოსწავლეები! სახელოვან პოეტების ლექსებზე და თქვენს ლექსებზეც რაიონში უნდა ტარდებოდეს კონკურსები.**

– მე ჩემი სოფლის ბიბლიოთეკამ და კლუბმა მომიწყო შეხვედრა და ძალზე მიხაროდა, ჩემს ლექსებს ზეპირად რომ ამბობდნენ მოსწავლეები. თქვენგან ნახსენები კონკურსები მართლაც პატრიოტულ სულისკვეთებას აუმაღლებდა მოსწავლეებს...

ესაუბრა **უჩა ჯანგირაშვილი**

**რედაქცია სულით და გულით ულოცავს ბატონ ჯემალს 70 წლის იუბილეს! უსურვებს დიდხანს სიცოცხლეს თავის ოჯახთან და ახლობლებთან ერთად. გვწამს, თავისი ბასრი კალამი არასოდეს დაუჟანგდება და კვლავაც გაგვახარებს თავისი შესანიშნავი შემოქმედებით.**

## ლეგენდა საქართველოზე

**შეხედე მზეს, შეხედე ცას,**
**შეხედე მთებს, შეხედე ზღვას,**
**შეხედე ჯვარს, შეხედე ხატს,**
**შეხედე ქვევრს, შეხედე ვაზს,**
**შეხედე ქალს, შეხედე ვაჟს, –**
**ეს ყველაფერი ლეგენდას ჰგავს!**
**უსმინე ხმას, შენს გულისთქმას,**
**უსმინე ბანს, საოცარ ჰანგს, –**
**როცა კოსმოსში „ჩაკრულოს“ ისმენ,**
**გულს სიხარული ბოლომდე გივსებს,**
**ან თუ ყურს მოკრავ „მრავალჟამიერს“**
**გული ჩერდება თითქოს წამიერ!**
**ეს არც ლეგენდა, არც ზღაპარია,**
**ეს კოხტა ჩემი მთა და ბარია!**
**ეს ყველაფერი საოცრებაა,**
**ეს ყველაფერი უფლის ნებაა.**
**ჩემი მამული უფლის წილია**
**და ქართველიც ხომ უფლის შვილია.**
**ღმერთმა გვიკურთხოს ღვინო და პური,**
**ქართველს ჩაბერა უკვდავი სული,**
**ეს არც ლეგენდა და არც მითია,**
**ეს მიწა ჩვენთვის უფლის მზითვია!**
**ეს საოცრება ჩვენი სისხლია,**
**ეს საოცრება ჩვენი გენია,**
**დედამიწაზე ერთადერთია,**
**ერთადერთი და, ისიც ჩვენია!**
**ეს არც ლეგენდა, არც ზღაპარია,**
**ეს კოხტა ჩემი მთა და ბარია,**
**ცივი ჩანჩქერი, ანკარა წყარო,**
**ჩემი მთები და ჩემი მდელოა,**
**და ცაზე ისევ გაბრწყინებული**
**ჩემი პატარა საქართველოა!**

## გალაკტიონი

ისევ მოდუდუნებს მეტეხთან მტკვარი,
ისევ რეკს ზარი ძველი სიონის,
ისევ მიჰყვება თბილისის ქუჩებს
თმაშევერცხლილი გალაკტიონი.
„მთაწმინდის მთვარე“ დაცურავს ცაზე,
ხინკალს აყოლებს პოეტი არაყს,
ადიდებენ თბილისი უკან
პოეტთა ძმას, ბიძასა და ამაყს.
„ლურჯა ცხენები“ ნაკვესებს ყრიან,
შემოდგომის დღეს ეკვლება ფერი,
გალაკტიონი მთვარის მუქზე კი
ისევ დაეძებს დაკარგულ მერის.
რომ სილამაზე არ არსებობს
უსიყვარულოდ,
ღმერთებს არწმუნებს ნიკორწმინდაზე,
თვით უკვდავებაც არ არსებობს
უსიყვარულოდ
და თვითონ დარჩა
უკვდავებად იგი მიწაზე.



## ფერეიდნელი ჭაბუკი

გამოღმით მე ვარ, გაღმით შენ,
ჩვენ შუა ლურჯი მთებია,
ჩემი მიწა და ჩემი მზე
ძალიან მომნატრებია.
ფერეიდნელო ჭაბუკო,
ქართველი კაცის იერით,
მწყემსო ბიჭო და მამლუქო,
სულ არ ხარ გადამთიელი.
შენც ჩემი მიწის შვილი ხარ,
მაგრამ ბედკრული ქართველი,
შენც ლურჯთვალება ბიჭი ხარ,
შენც გწამს ღმერთი და სანთელი.
შენც და მეც ერთი პაპის ვართ
და ერთი გვისვამს წყალიო,
სხვადასხვა მხარეს დავდივართ,
თვალს ენატრება თვალიო.
შენ ელია გყავს, მე – ნანა
გაჭრილ ვაშლივით მსგავსები,
შენი და ჩემი ბაღანა,
გაზრდილი წაბლის აკვნებით.
ოთხ საუკუნეს გაუძელ
სხვის მიწაზე და სხვის მზის ქვეშ
აგებდი სახლებს, აულებს,
რგავდი კაკალს და ვაშლის ხეს.
პერანგის ქვეშ კი მალავდი
ბზისგან გამოთლილ ჯვარსაო,
გულს იარებით ღარავდი,
ცრემლი გივსებდა თვალსაო,
მეც ცრემლი მომდის თვალიდან,
უცრემლოდ ტირის გულიო,
ალბათ, ვართ ერთი გვარიდან,
მიტომ გვწვავს სიყვარულიო.
მინდა გესმოდეს ჩემი ხმა,
როგორც ძმა მედგე მხარშიო,
ჩემი ფესვი ხარ, ჩემი ძმა,
გვახსოვარ გურჯისტანშიო!



## ბორჯომის ხეობა

**რა ლამაზი დილა არის,**
**კრთის ვარსკვლავი ცისა,**
**ეფინება ჩემს სამშობლოს**
**სხივი დილის მზისა.**
**შორით მოსჩანს დაბაძველის**
**ნისლიანი მთები,**
**ჩახლართული ხეობაში**
**საცალფეხო გზები.**
**მოელვარე მზეზე ლურჯად**
**კახისის ტბის ტალღა,**
**მოსჩანს თორის სანახები**
**შორს, მთებს იქით, გაღმა.**
**აქ ლაღადებს ქვა და ლოდი**
**და აცოცხლებს წარსულს,**
**უფრო მეტად შეგაყვარებს**
**სამშობლოს და მამულს.**
**თუ გული გაქვს, ვერ აუქცევ**
**ხვეწს და ნადარბაზევს,**
**წინაპართა აჩრდილები**
**ყველგან უკან დაგდევს.**
**დაბაძველის ეკლესია**
**დღესაც რეკავს ზარებს,**
**ამ მშვენებას რომ ვუცქერი,**
**არ ვუჯერებ თვალებს.**
**ლარების და ახალციხის**
**მთები ამაყები,**
**ეს ბორჯომის ხეობაა**
**ტურფა სანახებით.**
**დედასავით ეფერება**
**ჭალებს დედა მტკვარი,**
**რა დიდრონი რამ ყოფილა**
**ჩემი მთა და ბარი!**

## წამოიშალეთ, არაგველებო!



წამოიშალეთ, არაგველებო,
გაუმაძღარნო ომითა,
ცხრა ძმანო მარაბდელებო,
წინ გაგვიძეხით დროშითა!
ტანზედ აისხით აბჯარი,
სამშობლო გიხმობთ შვილებსა,
ალესეთ პაპის ხანჯალი,
კარი ჩარაზეთ ციხისა,
თამარის დროშა გაშალეთ
დაღვრილი სისხლის ფერისა,
საბუდრებიდან აშალეთ
მმართვენი არწივებისა!
დედა-სამშობლო გეძახის,
კარს მოგვდგომია მტერიო,
დავაგუგუნოთ ერთ ხმაში
სიმღერა ძველისძველიო.
შიში ვერ იხსნის სიკვდილსა,
ხმალზე გავიკრათ ხელიო,
სიკვდილ გვერჩივნოს სირცხვილსა,
არ დაგვივიწყებს ერიო.
დიდგორზე კიდევ ავიდეთ,
ომი ვქნათ საკვირველიო,
მეფე საფლავშიც გაიგებს,
რომ იბრძვის კვლავ ქართველიო.
ჰოდა, დავითის შვილებო,
ჰოდა, ვახტანგის შვილებო,
ჰოდა, თამარის შვილებო,
ჰოდა, ერეკლეს შვილებო,
ქართლოსის ჩამომავალნო,
ომებით გაუმაძღარნო,
ჰეი, თქვენ არაგველებო,
ჰეი, თქვენ ასპინძელებო,
ჰეი, თქვენ შინდისელებო,
ჰეი, თქვენ მარაბდელებო,
თქვენი სულების ჭირიმე,
მამულის გმირო მცველებო!

## ერთი ალალი კაცი ვარ

**ერთი ალალი კაცი ვარ,**
**მიყვარს ცა ლურჯი, მზიანი.**
**არ მინდა, მქონდეს სამშობლო**
**ვიღაცის თანაზიარი!**
**ცოლი მყავს სხვაზე ლამაზი,**
**შვილი მყავს სხვაზე ძლიერი,**
**ამირანის ძის მოდგმის ვარ,**
**დავითს მოვგავარ იერით.**
**ღმერთმა მაჩუქა ეს მიწა,**
**მის სახელს ვენაცვალები,**
**სანამ ვარ, ამ მიწას ვიცავ,**
**მტერს არსად დავემალები!**
**ხარივით მიწას ავლოკავ,**
**მტრისას არ შევჭამ ლუკმასო,**
**სანამ ჩემ მამულს დავიცავ,**
**ვიტყვი, რაც პაპას უთქვამსო.**
**„მიყვარხარ, ჩემო სამშობლო,**
**ვწუხვარ, ვერ მოგიარეო,**
**სხვა შენისთანა ვერ ვნახე,**
**დუნია მოვიარეო“.**
**ხელში დავიჭერ რკინის ჯოხს,**
**ფეხზე ჩავიცვამ ქალამანს,**
**სულ ბილიკ-ბილიკ მოვივლი**
**ჩემი სამშობლოს მთას და ბარს;**
**თავს სასთუმალზე არ დავდებ,**
**და გაგითენებ დღეს მზიანს,**
**თვალს მხოლოდ მაშინ მოვხუჭავ,**
**რომ გნახავ მთელს და ერთიანს!**
**მკერდში ბაჯაღლო გული მაქვს**
**და სიყვარული დამაქვსო,**
**ძილშიაც იმას ვბუტბუტებ,**
**რაც უთქვამს მამა-პაპასო:**
**„მიყვარხარ, ჩემო სამშობლო,**
**ვწუხვარ, ვერ მოგიარეო,**
**სხვა საქართველო ვერ ვნახე,**
**დუნია მოვიარეო“.**

## აფხაზეთო, ისევ დაგიბრუნდები



ვარსკვლავებით მოჭედილი ცა,
მთვარე ჯაჭვით ცაზე დაკიდებული,
სოხუმი და მოელვარე ზღვა
ლამაზია, ვაი, რა დიდებული!
ზღვის ტალღები მღერიან ნაპირებს,
აღარ ჩანან თოლიების გუნდები,
შენს დაკარგვას წამითაც არ ვაპირებ,
აფხაზეთო, ისევ დაგიბრუნდები!
ჩემი ხარ და მარად ჩემი იქნები,
მაგნოლიებს ვუმღერები ქუჩებში,
ზღვას ვაბანდე იდუმალი ფიქრები,
აფხაზეთო, კვლავ ჩაგიკრავ გულში.
საქართველოს სისხლი ხარ და ხორცი ხარ,
შენით ვცოცხლობ, შენთვის ცოტას ვიკმარე,
ცოცხალი ვარ, ისევ შენთან მოვდივარ,
მოვკვდები და შენს მიწას მიმაბარე!
ვარსკვლავებით მოჭედილი ცა,
თოლიები სულ სხვა ხმაზე მღერიან,
შენსკენ მიდის ძველი ჩემი გზა,
აფხაზეთში, ვიცი, ისევ მელიან!



## ნატვრა

დავითის ჭკუა რომ მქონდეს,
მეფე ერეკლეს ძალაო,
სიბრძნე კი დიდი თამარის,
სხვა რაღა მინდა, აბაო!
ქვეყანას გავამთლიანებ,
ეს სამი რამეც კმარაო,
რომ აფხაზეთში ისმოდეს
ისევ ქართული „ნანაო“.
ფსოუზე დავდებ საზღვარსა,
დავიცავ ქვეყნის კარებსა,
ილორში ისევ დაანთებს
ქართველი კაცი სანთელსა.
დიდი მაჩაბლის მხარეში
ვიმღერებ „მრავალჟამიერს“
და საქართველო იქნება
ისევ იმერ და ამიერ!
ჩავიხუტებდი კლარჯეთსა,
იშხანს, ოშკსა და ბანასა,
დავამსგავსებდი სამშობლოს
თამარის დიდ ქვეყანასა.
არ დავისვამდი აღარა
თავზე ხონთქრებს და შახებსა,
ვერც მტერი ველარ დალეწდა
იქ დარიალის კარებსა.
ქურმუხში ზარებს დავრეკდი,
დავლევდი ღვინის ნაქებსა,
საფლავში ავამღერებდი
ცრემლიან მამა-პაპებსა!

პოეზიის კუთხე

## ეს არ არის მისტიკა, მხოლოდ რეალობაა



ღმერთმა, დაუსაბამომ, გარსშემოუწერელმა,
ვინც უსასრულოა და ვერაფერში თავსდება,
გამრავლება ინება და სამყაროს სავსება...
მადლით შექმნილ ღმერთებით, სილაჟვარდის გავსება.
მოისურვა, ეგემა სხვასაც მისი სიკეთე,
გაეხადა სიტკბოს და ნეტარების ზიარი,
ყოფილიყვნენ მის გვარად სიხარულში მრავალნი,
და ამ ნიშნით, უფალმა, შექმნა ადამიანი!
თუმცა, ასე მარტივად არ ყოფილა ღმერთობა,
და სამყაროს ახალი, სხვა ღმერთებით ავსება.
ბოროტებამ, შურმა და ეგოიზმმა იმძლავრა,
ოჰ, ძვირად დაუჯდინა, მავანს თავის არსება.
ძალზე ბნელი აღმოჩნდა კაცისათვის ეს ბრძოლა,
სამკვდრო-სასიცოცხლო და უმძიმესი გამოდგა,
თუმც კი ბევრმა ვნებებთან, ეშმაკთან და სოფელთან,
ისევ ღმერთის შეწევნით, ჩააბარა გამოცდა.
დღესაც ბრძოლა შეჰფერის ადამიანს, ვით ღვთის შვილს,
სისხლის ბოლო წვეთამდე, რაც არ არის ადვილი,
და თუ ღმერთმა ინება, აღვასრულოთ ღვთის ნება,
და მის ახლოს ცოდვილთაც, მოვიპოვოთ ადგილი.
აღვასრულოთ ღვთის ნება, ვიქცეთ ღმერთის შვილებად,
რადგან ღმერთმა ისურვა, რადგან ღმერთმა ინება,
ეს არ არის მისტიკა, არც სიტყვათა წყობაა,
ეს არ არის მისტიკა, მხოლოდ რეალობაა.

**ოლიკო ლომიძე**

წერილები რედაქციას

## დაგვიცავით მაწანწალა ძაღლებისაგან



**მოგეხსენებათ,** რომ ბორჯომში და მის შემოგარენში, საგრძნობლად მომრავლდნენ უპატრონო ძაღლები, რაც დიდ საფრთხეს უქმნის მცხოვრებლებს, განსაკუთრებით ბავშვებს.

უპატრონო ძაღლები განსაკუთრებიოთ მრავლადაა ახალ უბანში. მშიერი ძაღლების შიშით ბავშვები ქუჩაში ვერ გაგვიშვია. ჩვენს უბანში იყო მოზარდის და ბავშვის დაკბენის შემთხვევები. როდემდე ვითმინოთ უბანში ძაღლების თარეში, სანამ ვინმეს არ დაგლეჯენ? სულ ახლახანს ბავშვს ძაღლი გამოეკიდა და პატარას შიშით გული წაუვიდა. ბავშვს შიშისგან დიაბეტი დაემართა.

როგორც ვიცით, შიმშილისგან ძაღლი ცოფით ავადდება, რაც სავალალო მდგომარეობაში გვაყენებს ფეხით მოსიარულეებს.

თუ, ამ მომართვიდან, ორი კვირის მანძილზე, კერძოდ, ახალ უბანში არ იქნა აღკვეთილი უპატრონო ძაღლების თარეში, იძულებული გავხდებით, მივმართოთ ზემდგომ ორგანოებს - საქართველოს ტელევიზიას და პრესის წარმომადგენლებს. ნუ გაგვხდით იძულებულს, მოვაწყოთ საპროტესტო აქცია.

უმორჩილესად გთხოვთ, მოგვაქციოთ ყურადღება და აღკვეთოთ უპატრონო ძაღლების თარეში.

**ერთობლივ განცხადებას ხელს აწერენ: ნანა თედიაშვილი-ცუცქირიძე, ეკა მარგველაშვილი, ნინო ცუცქირიძე, თინა გოგოლაძე, დალი თედიაშვილი-კობესაშვილი, ელზა ობგაიძე, ცისანა მელიქიძე, ნაირა გეგეჭკორი, თამარ ჟიქია, ეთერ დანელია და სხვები.**

**რედაქციისაგან: ამ თემაზე არაერთი წერილი გამოქვეყნდა ჩვენს გაზეთში, მაგრამ უპატრონო ძაღლების ქუჩაში წანწალი ვერა და ვერ აღმოიფხვრა. არსებული პრობლემით შეწუხებულია ქალაქის მერია და ყოველმხრივ ცდილობს მის მოგვარებას, რომელიც არც ისე ადვილია, როგორც ზოგიერთებს მიაჩნიათ. ძაღლების თავშესაფრის აშენებასა და მათ ვოლიერებში შენახვას ათი ათასობით თანხა ესაჭიროება. სერიოზული საყვედური ეთქმით ძაღლების მეპატრონეებს, რომლებმაც ძაღლები თავიდან მოიშორეს და ქუჩაში გამოყარეს. თუ ძაღლის მოვლა და შენახვა არ შეგიძლია, არც უნდა გყავდეს, ეს კი ნაკლებად აღელვებს ჩვენს თანამოქალაქეებს. რაც შეეხება წერილში გაჟღერებულ აქციებს და ქუჩის გადაკეტვას, ამით პრობლემა არ გადაწყდება, თორემ მაწანწალა ძაღლები თბილისში და სხვა დიდ ქალაქებშიც მრავლად დარბიან.**

**როგორც მერიაში გვითხრეს, გადაწყვეტილია ძაღლების თავშესაფრის ასაშენებლად თანხების მოძიება და მშენებლობის დაწყება.**

## მადლობა სიკეთისა და სითბოსათვის

**მართალია,** ბორჯომში მუდმივად არ ვცხოვრობ, მაგრამ დროებით, უკვე დიდი ხანია სეზონურად მიხდება ყოფნა ჩემს ერთოთახიან ბინაში. ასე რომ, კონტაქტი, მეგობრობა მაკავშირებს განსაკუთრებით პედაგოგებთან, რადგან მეც პედაგოგი ვარ!

ჯავახეთის ერთ პატარა სოფელში ვცხოვრობ. როცა ბორჯომში ჩამოვდივარ, ყოველთვის „ტაქსის“ გამოძახება მჭირდება, რადგან პენსიონერი ვარ და პატარა სიმძიმესაც კი ვერ ვწევ (ექიმმა სასტიკად ამიკრძალა), რადგანაც ორივე ფეხზე მძიმე ოპერაცია მაქვს გაკეთებული. ამჯერადაც მარტის დასაწყისში ჩამოსვლისას, ტაქსი გამოვიძახე, რომელიც მთელი კვირით მჭირდებოდა. ტაქსი სწრაფად მოვიდა. მძღოლი **ოთარ ტოტოშვილი** აღმოჩნდა. პირველივე დღიდან ისეთი სითბო, კეთილშობილება, პასუხისმგებლობა გამოავლინა თავისი საქმისადმი, რომ გაკვირვებული დავრჩი. რა დროსაც ვთხოვდი მოსვლას, დროულად მოდიოდა. მის მიმართ ისეთი სითბო, პატივისცემა ვიგრძენი, რომ წარმოდგენა დამრჩა, თითქოს მას დიდი ხნის წინ ვიცნობდი.

ღმერთმა მისცეს ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე ამ უანგარო, კეთილშობილ ადამიანს, მის ოჯახს, ცოლ-შვილს. ალბათ, ოჯახიც თავისი შესაფერისი ჰყავს. ოთარი - სიკეთითა და მადლითაა გამორჩეული. ასეთ კეთილ, უანგარო და ადამიანებზე უნდა იდგეს ჩვენი ქვეყანა. ღმერთმა ნუ მოაკლოს მფარველობა.

**დიდი პატივისცემით ანა ივანიძე**

## ქველმოქმედება დასაფასებელია

**სასტუმროთა** ქსელ ,,კრისტალის“ გენერალური დირექტორი **ვლადიმერ სტეფანიანის** ხელგაშლილობა და ქველმოქმედება ყველასთვის ცნობილია, ის ასევე მხარში უდგას ბაკურიანელ სპორტსმენებს და ჩვენც არაერთხელ გაგვიჟღერებია მისი სახელი სპორტული ინფორმაციების მოწოდებისას. სათხილამურო სპორტი ახლაც 10 000 ლარით დაასპონსორა. როგორც ბაკურიანელ მოთხილამურეთა მწვრთნელი ლაშა გავვა ამბობს, სულზე მოუსწრო.

- ფაქტიურად აღარაფერი გვქონდა, ბატონი ვლადიმერი ყოველთვის გვეხმარებოდა, მაგრამ ახლა ოფიციალური სპონსორი უნდა რომ გახდეს, ანუ ეს დახმარებები სპონტანური რომ არ იყოს. ის ასევე აფინანსებს ჩვენს სპორტსმენების შეკრებებს თურქეთში, ეხმარება მათ ასევე ტრანსპორტირებაში. ამ თანხით ჩვენს პატარა მოთხილამურეებს შევუძინეთ თხილამურების ფეხსაცმელები (ე.წ. „ბათინკი“), სათხილამურო სათვალეები, ჯოხები, ჩაფხუტები, თხილამურების საცხები და ყველა სხვა ხელსაწყო, რომელიც აუცილებელია სათხილამურო სპორტისათვის. ამ ყველაფერს ყოველთვის ვყიდულობთ თბილისში, სპორტულ მაღაზია „ექსტრიმში“, რომლის ერთ-ერთი მფლობელი დათო რაზმაძე ჩვენი დიდი მეგობარია და ისიც ყოველთვის დიდ შეღავათს გვიწევს, თითქმის გვინახევრებს ფასებს. შეიძლება ითქვას, ყველაფერს თავის ფასში ვყიდულობთ.

ყოველთვის უდიდესი მადლიერების გრძნობა გვაქვს ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც ასე ხელგაშლილად გვეხმარება. ბატონი ვლადიმერის მიერ შარშან გაზაფხულზე დასპონსირებულებმა, სავარჯიშო ფორმები ვუყიდეთ ბავშვებს და ასევე თქვენი გაზეთის საშუალებით გამოვხატეთ მადლიერება. ტრამპლინიდან მხტომელებიც ამ რამდენიმე კვირის წინ დაასაჩუქრა - საქართველოს ჩემპიონატზე მონაწილე თვრამეტივე ბავშვს ფულადი ჯილდო გადასცა. მადლობის მეტი რა გვეთქმის!“

**რუსუდან სხირტლაძე**

კულტურის ქრონიკა

## პიანისტი ვატო ქორდანია ბორჯომში



**ბორჯომის** ზაქარია ფალიაშვილის სამუსიკო სკოლა 25 მარტს უჩვეულოდ გამორჩეულ, უზადოდ ნიჭიერ ხელოვანს მასპინძლობდა. კლასიკური მუსიკის მოყვარული საზოგადოებისთვის ცნობილი, ახალგაზრდა პიანისტი, **ვატო ქორდანია** თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ასისტენტ-პროფესორია. ის აქტიურ საკონცერტო-შემოქმედებით ცხოვრებას ეწევა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, სადაც ვირტუოზი კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციის მიზნით კონცერტებს მართავს. ამჯერად ბორჯომს გაუმართლა. სანამ უშუალოდ კონცერტი დაიწყებოდა, მან ბორჯომელ მოსწავლეებს მასტერკლასიც ჩაუტარა და უდიდეს სიამოვნებას აზიარა მომავალი თაობა. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი სათქმელი მერე დაიწყო, ჩვეული მოწესრიგებულობითა და თავდაჭერილობით ხელოვანი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა: - **მიხარია, რომ ვარ ბორჯომში, ასევე მახარებს, რომ გაქვთ ასეთი მაღალი დონის სამუსიკო სკოლა. აქ კარგად ჩანს, როგორ დიდ დროს და ენერგიას უთმობენ პედაგოგები კლასიკურ მუსიკას სკოლის ხელმძღვანელის, ქალბატონი *მარინა ქიტიაშვილის* თაოსნობით. მადლობა ამ კარგი გარემოსთვის, რომლითაც სხვა ბევრი რეგიონი ვერ დაიქადნის. დღევანდელი მოკრძალებული სოლო-კონცერტი მინდა მივუძღვნა უკრაინაში დაღუპულ გმირებს.** - თავი დახარა და დაიწყო. დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო: სულ ერთიანად მოიტანა ამ დღეების სევდა და მწუხარების ზარი. მთელი გრძნობით, მთელი არსებით ფლობდა კლავიშებს მართლაც, რომ ჯადოსნური თითებით. მან შეგვასრულა რობერტ შუმანის ნოველეტა 1 და 2, და ასევე „სიმფონიური ეტიუდები“. თუ გინახავთ პიანისტის მდუმარე საუბარი ნოტებთან? აი, ეს შემთხვევა იყო! გეგონებოდათ შინაგანად მღეროდაო, ისეთი ჰარმონიით რთავდა კვანძებს, კულმინაციებს, რომ გარინდული დარბაზი, შეიძლება ითქვას, სულ სხვა სამყაროში გადაგვიყვანა. აკი, დასასრულს კიდეც გაუმხილეს ეჭვი იმასთან დაკავშირებით, ეს თითები ნაღდია თუ, ხელოვნურიო?

მონატრებულ საღამოს ესწრებოდნენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ხელოვნების გულშემატკივარი ბატონი **სოსო რაზმაძე** და სხვა წარმომადგენლები. ალბათ, დიდხანს გაჰყვება ეს თავბრუდამხვევი შთაბეჭდილება მსმენელთ. მართლაც ასეა: **„მათ ვისაც ომი სწყურია, ალბათ მუსიკა არ უყვართ, ან არასდროს მოუსმენიათ იგი!“**

**მონიკა ჭანტურია**

## მოთხილამურეები ნინოწმინდაში




**2022 წლის 22 მარტს**, ნინოწმინდაში ჩატარდა თადეოზ არზუმანიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი რაიონული შეჯიბრება სათხილამურო რბოლაში. შეჯიბრში მონაწილეობა მიიღეს ბაკურიანელმა და ანდეზიტელმა მრბოლელებმა, რომლებმაც წარმატებით იასპარეზეს და თითქმის ყველა საპრიზო ადგილი მოიპოვეს. უფროსი ასაკის მრბოლელთა შორის პირველ ადგილზე ბაკურიანის საჯარო სკოლის მოსწავლე **არმენ ავეტისიანი** გავიდა. გოგონებში სამივე საპრიზო ადგილი ანდეზიტელებს ხვდათ წილად - პირველ ადგილზე **ანი მაიტესიანი** გავიდა, მეორეზე - **რიტა პეტროსიანი,** მესამეზე - **ნინო ქარქოზაშვილი.** მოზარდებში **შოთა მაიტესიანმა** და **დავით ჩუბკომ** შესაბამისად პირველი და მეორე ადგილები გაინაწილეს. ანდეზიტელ ბავშვთა შორის კიდევ ერთი წარმომადგენელი, **დავით შარიქაძე** მეხუთე ადგილს დასჯერდა.

ჩვენებურ მრბოლელთა ჯგუფის მწვრთნელები მამა-შვილი ალექსანდრე და ვიქტორ ბუძიშვილები მადლობას უხდიან ანდეზიტის სკოლის დირექტორს, ქალბატონ **ზოია თიგიშვილს** და ბაკურიანის საჯარო სკოლის დირექტორს ქალბატონ **თამარ ბლიაძეს** თანადგომისათვის

**რუსუდან სხირტლაძე.**



**ბორჯომის მუნიციპალიტეტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ანსამბლ ,,რუსთავის“ სოლისტი, ბორჯომის საპატიო მოქალაქე ბორჯომის დიდი ქომაგი და მოამაგე ბატონი**

**ედიშერ (ნუგზარ) გელაშვილი**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**საზოგადოება ,,ბორჯომელების“ გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა თბილისის ოპერის და ანსამბლ ,,რუსთავის“ სოლისტი, ბორჯომის საპატიო მოქალაქე, ბორჯომისა და ბორჯომელთა უაღრესად მოსიყვარულე პიროვნება ბატონი**

**ედიშერ (ნუგზარ) გელაშვილი**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ.№2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ.№57.
borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე